სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080168841263819

№ 4347

04 / ნოემბერი / 2019 წ.

სსიპ „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისთვის“ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 30 ოქტომბერს (18:50 სთ) სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით სსიპ „შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა“ წარმოადგინა SMP190004139 მომართვა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი და მისი ღირებულება

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს კვლევასა და განვითარებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურების (ახალი მოდელის საგამოცდო ტესტების შემოწმება და შესაბამისი დასკვნის მომზადება) შესყიდვას (73200000 - კვლევასა და განვითარებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურებები), ღირებულებით 10000.00 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, 2019 წლის 27 აგვისტოს გამოიცა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N178/ნ ბრძანება „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის № 19/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, რის შემდეგაც სსიპ „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ ისტორიის და მათემატიკის საგნობრივი ჯგუფების წევრებმა მოამზადეს შესაბამისი საგამოცდო მასალა. აღნიშნულმა მასალამ გაიარა აპრობაცია, მაგრამ აუცილებელია შემოწმდეს და დადასტურდეს, რომ იგი ზუსტად აფასებს და პასუხობს ახალი საგამოცდო მოდელის მოთხოვნებს. მნიშვნელოვანია, რომ მომსახურება გაწეულ იქნას მაღალკვალიფიციური ექსპერტების მიერ, რომლებსაც გააჩნიათ მსოფლიოს მასშტაბით მსგავსი გამოცდილება. საგულისხმოა, რომ ასეთი გამოცდილების და რანგის კომპანიები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, ან ზოგ შემთხვევაში, თავს არიდებენ ტენდერებში მონაწილეობას. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მომსახურების გაწევა უნდა მოხდეს შეზღუდულ ვადებში, რათა გამოცდების დაწყებამდე მოესწროს საგამოცდო ტესტების ყველა ვარიანტის შემუშავება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემსყიდველ ორგანიზაციას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ აღნიშნული მომსახურების შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

წარმოდგენილი მომართვიდან ირკვევა, რომ 2019 წლის 27 აგვისტოს გამოიცა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N178/ნ ბრძანება „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის № 19/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, რის შემდეგაც სსიპ „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ ისტორიის და მათემატიკის საგნობრივი ჯგუფების წევრებმა მოამზადეს შესაბამისი საგამოცდო მასალა. აღნიშნულმა მასალამ გაიარა აპრობაცია, მაგრამ აუცილებელია შემოწმდეს და დადასტურდეს, რომ იგი ზუსტად აფასებს და პასუხობს ახალი საგამოცდო მოდელის მოთხოვნებს. მნიშვნელოვანია, რომ მომსახურება გაწეულ იქნას მაღალკვალიფიციური ექსპერტების მიერ, რომლებსაც გააჩნიათ მსოფლიოს მასშტაბით მსგავსი გამოცდილება. საგულისხმოა, რომ ასეთი გამოცდილების და რანგის კომპანიები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, ან ზოგ შემთხვევაში, თავს არიდებენ ტენდერებში მონაწილეობას. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მომსახურების გაწევა უნდა მოხდეს შეზღუდულ ვადებში, რათა გამოცდების დაწყებამდე მოესწროს საგამოცდო ტესტების ყველა ვარიანტის შემუშავება.

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარებით შესყიდვის განხორციელების საჭიროება.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა. ასევე, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უზრუნველყოს რელევანტური მიმწოდებლის შერჩევა და ამ შერჩევასთან დაკავშირებული პროცედურების კანონიერება. დამატებით აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ SMP190004139 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით შესყიდვების დასადგენად მიმართოს საქართველოს მთავრობას.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე